# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 11 ივნისი 1996 № 46 (271) ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთმა არ იცის მუშა და გენერალი
## ვისკი მჟავე იყო, ნარინჯი — მკვახე

### საფრანგეთი 1:0 რუმინეთი


ზურაბ ფოცხვერია,
დავით კაკაბაძე
ნიუკასლიდან




| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ლამა | 1 | სტელია |
| 3 | დი მეკო | 2 | პეტრესკუ |
| 5 | ბლანი | 4 | ბელოდედიჩი |
| 15 | ტურამი | 13 | შეიმეში |
| 6 | გერენი | 16 | მიხალი |
| 7 | დეშამპი | 5 | ლუპესკუ |
| 8 | დესაი | 6 | პოპესკუ |
| 10 | ზიდანი | 10 | ჰაჯი |
| 19 | კარემბეუ | 11 | მუნტიანუ |
| 9 | ჯორკაეფი | 7 | ლეკატუში |
| 13 | დუგარი | 9 | რადუჩოუ |

შეცვლა: რადუჩოუ — 20 მოლდოვანი (46), ლეკატუში — 19 ილიე (57), დი მეკო — 12 ლიზარაზუ (68), დუგარი — 11 ლოკო (68), პეტრესკუ — 17 ფილიპესკუ (77), ზიდანი — 20 როში (79)

1:0 დუგარი (25)

გაფრთხილება: დი მეკო მიხალი, შეიმეში, ილიე

მსაჯი: ჰ. კრუგი (გერმანია)

10 ივნისი. „სენტ ჯეიმს პარკი".

ეს გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც თანაჯგუფელები იყვნენ. ოღონდ, ამ შეხვედრის შემდეგ, რომელიც ინგლისში ორივესთვის პირველი იყო, საფრანგეთმა მეტად ფასეული (ესპანეთ-ბულგარეთის ფრეს ფონზე) 3 ქულა დაირიცხა. იქ, შესარჩევში კი საქმე უფრო რთულად ჰქონდა. როგორც მაშინ, ისე ახლაც, რუმინეთისთვის რომ არ მოეგო, თავს ვერაფრით დაიმედებდა. უაზრობა იქნება იმაზე ლაპარაკი, რომელი გამარჯვება უფრო ღირებული იყო. ფაქტი ერთია, მაშინ ფრანგებს აქტივში 5 ფრე და ერთადერთი მოგება ჰქონდათ, რადგან აზერბაიჯანელებთან მოპოვებული ორი გამარჯვება 12 ბურთიანი მშრალი სხვაობით, გათამაშების სისტემის უკულმართი თავისებურების გამო, ვერაფერი ნუგეში გახლდათ. ფრანგთა გასახარად, ბუქარესტში კარემბეუს, ჯორკაეფისა და ზიდანის გოლებით მეტად საჭირო გამარჯვებას მიაღწიეს. ამ დღესაც სწორედ ამ სამეულმა ითამაშა საუკეთესოდ. თუმცა, სანამ სამეულისა და K°-იის ნამოქმედარზე ვიტყოდეთ, სჯობს, გუშინდელი თამაშის პერიპეტიებს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

ვიდრე საფრანგეთს გული საგულეს ჩაუდგებოდა, ყოფილი ქარხნის მუშის, ამჟამად კი ნაკრების მწვრთნელის ემე ჟაკეს გულს გაუდიოდა ჩარხსავით ბაგაბუგი. აკი შემდეგაც თქვა, ვიცოდი, წინ მეტად ძნელი თამაში გველოდა და ამ გამარჯვებამ ძალზე გაგვახარაო. თუმცა, ისიც აღნიშნა, დარჩენილ შეხვედრებშიც ისეთი ბრძოლები მოგველის, საზეიმოდ სულაც არ გვცხელაო. პირველ 20 წუთში მეტოქემ მართლაც რომ აანერვიულა ფრანგთა მთავარსარდალი. ჯერ ჰაჯიმ დაატრიალა ჯარიმა და ლამამ აილო, მე-2 წუთზე კი მუნტიანუმ შორიდან ააცილა. მე-15 წუთზე ბრძოლა ლამის „ომად" იქცა: ჯორკაეფს ბურთი სახეში მოხვდა და ოდნავ გაბრუვდა, თუმცა ზურგის დაბრუნება არ დააყოვნა და მიხალის ფეხი იქამდე მოუღერა, ლამის სახე აათალა. პირველ 20 წუთში რუმინელები სრულ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და, მართალია, ისე ვერ უტევდნენ, რომ ეხეირათ, მაგრამ მეტოქე რომ დააფრთხეს, ამას დი მეკოსთვის ნაჩვენები ყვითელიც მოწმობს. ამ დარღვევისთვის დანიშნული ჯარიმა 21-ე წუთზე კვლავ ჰაჯი — ლამას დუელით დამთავრდა, რომლის სცენარიც პირველის ანალოგიური იყო. მთელს ამ დროში ფრანგებმა ერთხელ დაარტყეს კარის მიმართულებით, თუმცა ზიდანი მთლად ზუსტი ვერ იყო.

სამაგიეროდ, ტაიმის ზუსტად შუაწელში კარისკენ პირით მდგომმა ჯორკაეფმა ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა სტელიასკენ, რომელმაც ნახტომში დიდი ჯაფის ფასად მოიგერია. ამ მომენტიდანვე დაიწყო ფრანგთა მახქახამ შეწყობილად მოქმედება და ამ მექანიზმში მთავარი გამანაწილებელი კბილანის როლი სწორედ რომ იური ჯორკაეფმა შეასრულა. სხვა რომ არა ვთქვათ, მაგალითად დუგარის მიერ გატანილი გოლიც იკმარებს, რომელიც 25-ე წუთზე ჯორკაეფის ჩაწოდების დამაგვირგვინებელი გახლდათ. მართალი რომ ვთქვათ, ამ გოლს დუგარისა ნაკლებად ეთქმოდა, რადგან იგი უფრო სამფეროვანთა ლიდერის მიერ დარტყმულის რეკოშეტი გახლდათ, რადგან ბურთი დუგარის გარდა პეტრესკუსა და მიხალისაც მოხვდა. ერთადერთი, ვინც ამ მომენტში იქ ახლო მყოფთაგან ბურთს ვერ შეეხო, სტელია იყო. მას თავზე გადაახტა ასხლეტილი ბურთი, რისთვისაც გენერალ იორდანესკუსგან ასეთი შეფასებაც მიიღო: გაშვებულ ბურთში მეკარეს ვადანაშაულებო. ბოგდანმა თავი იმითღა იმართლა, მეგონა მიხალი მოიგერიებდაო. თუმცა კი, ამ შემთხვევაში მის გამოხტომას აზრი არც ჰქონდა. სტელია ერთხელაც შეცდა, როცა 32-ე წუთზე პეტრესკუს მიერ უკან დაბრუნებული ფეხით უზერხულად მოიგერია, თუმცა, ამჯერად იოლად გადარჩა, ტაიმის ბოლოს კი მსაჯის მიერ წამატებულ დროში ჯორკაეფის დარტყმა ადგილზე გააქვავა.

მეორე ტაიმი პირველისგან ბევრად განსხვავდებოდა, უფრო კი შინაარსით, ვიდრე თამაშის ხარისხით. ამას მიტომ ვამბობთ, რომ რუმინელთაგან მოედანზე გვარ-სახელებიღა დარჩა და კარემბეუს გარღვევებმა, ზიდანისა და ჯორკაეფის მახვილგონივრულმა პასებმა თუ კარში დარტყმებმა მათ დაცვას სული ბდღვირი ადინა. ასეთ უიმედო მდგომარეობაში მყოფთ იმედი ვერც მოლდოვანის გამოსვლამ ჩაუსახათ. ჟაკესი არ ვიცით და, ჩვენ კი გული სწორედ მაშინ აგვიჩქროლდა, როცა მინდორზე ქსამაქსელი გამოჩნდა, ემანდ, ქართველებივით ფრანგებსაც შავი დღე არ აყაროსო. როგორც გითხარით, ვერც მან იხეირა, თუმცა კი, 82-ე წუთზე დესაისთვის რომ ეჯობნა, დიდად გაიხარებდა. რაც შეეხება მილანელს, მასზე ალბათ არც არაფერს ვიტყოდით, მატჩის წინ თავად რომ არ ეთქვა: ამ თამაშს ავტოკატასტროფაში დაღუპულ ჩემს ძმას ვუძღვნიო. დესაი გუშინ შეტევას ვერაფრით დაეხმარა დაცვისას კი ერთი-ორჯერ ისე შეცდა, მეტოქეს რომ ევარგა, ძმას სულმთლად პირშავი მოუვიდოდა. მეტოქეთაგან კი, ერთადერთი, ვინც საქმეს ცდას არ აკლებდა, კარპატების მარადონად მონათლული გეორგ ჰაჯი იყო, მაგრამ ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო და, მასაც არაფერი გამოუვიდა ლამასთან, რომელიც ორჯერაც კიდევ შეაწუხა. მისთვის მხარის აბმა ასევე სამარქაფო ილიემ სცადა, თუმცა არც იგი გახლდათ ნამდვილი მარადონა, ხელით ბურთის გატანა რომ ეპატიებინათ.

თამაშის შემდეგ რუმინელებმა განაცხადეს, იმედი ჯერ არ დაგვიკარგავსო, თუმცა გუშინდელზე ნაკლები ბრძოლები არც ბულგარელებთან და ესპანელებთან ელით.

### „სარბიელის" რჩეული

კლარენს ზეედორფი ის კაცია, „მილანიდან" მადრიდის „რეალში" გადასულმა ფაბიო კაპელომ ახალ პატრონებს უპირველესად რომ მოხთხოვა. შოტლანდიელებთან თამაშში მან შუა მოედანში, უდიდეს დიაპაზონზე, გვარიანი ოფლი ღვარა, აქეთ იქით პასებიც არიგა და საბოლოო დარტყმის შესრულებასაც ცდილობდა. მისებრ კარგად ირჯებოდა რიხარდ ვიჩხეც, მაგრამ მეორე ტაიმის მიწურულს გუს ჰიდინკმა იგი მოედნიდან გაიყვანა და ამით ვიჩხე-ზეედორფის შედარებისას, სასწორი უკანასკნელის მხარეზე გადაგვაწონინა. ისე, კი „მასტერ-კარდის" ექსპერტებმა ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ მაკალისტერი დაასახელეს.



### „სარბიელის" რჩეული

ფრანგთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა ამ თამაშში ისე ითხტატა, ჯერ რომ არავისგან გვინახავს მანამდელ 5 თამაშში. რაც მთავარია, მისი ჯამბაზური მოქმედებები მეტად რაციონალური იყო. ჯორკაეფმა ოთხჯერ სახიფათო პასი გააკეთა, რომელთაგან ერთ-ერთი დუგარიმ, მიხალმა თუ პეტრესკუმ გოლად გარდასახა, ორჯერ კარში დაარტყა და ორივეჯერ სტელიას საოცარ რეაქციას წააწყდა, ორჯერ კი ისე კარგად ჩააწოდა საჯარიმოში, ზიდანსა და დუგარის რომ ემარჯვნათ, ფრანგებს დიდი ანგარიშით მოგება არ ასცდებოდათ.

ჯორკაეფი გუნდის ნამდვილი ლიდერი გახლდათ და თანაც თავის საქმეს ისე მშვიდად და აუღელვებლად აკეთებდა, ეს თავდაჯერება სხვებსაც გადასდო. გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ მისია. „მასტერ-კარდმაც" ტყუილად როდი დაასახელა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ.



### ჰოლანდია 0:0 შოტლანდია


ზურაბ მეძველია,
დავით მჭედლიშვილი
ბირმინგემიდან


| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ვან დერ სარი | 1 | გორამი |
| 2 | რაიციგერი | 2 | მაკკიმი |
| 4 | ზეედორფი | 3 | ბოიდი |
| 6 | დე ბური | 4 | კალდერვუდი |
| 7 | ტაუმენტი | 5 | ჰენდრი |
| 8 | დევიდსი | 8 | მაკკოლი |
| 10 | ბერხკამპი | 10 | მაკალისტერი |
| 14 | ვიჩხე | 11 | კოლინზი |
| 15 | ბოგარდი | 14 | დიური |
| 17 | კრუიფი | 18 | გალაჰერი |
| 18 | დე კოკი | 20 | ბუთი |

შეცვლა: ბუთი — 7 სპენსერი (46), ტაუმენტი — 9 კლუივერტი (61), დე ბური — 12 ვინტერი (68), გალაჰერი — 17 მაკინლი (74), ვიჩხე — 20 კოკუ (76), მაკკიმი — 16 ბერლი (89)

გაფრთხილება: ბოიდი, ვიჩხე, ტაუმენტი, გალაჰერი

მსაჯი: ლ. სუნდელი (შვედეთი)

10 ივნისი. „ვილა პარკი"

— ჯერ ჩვენების შანსებზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ კოლექტიურად ითამაშეს, ჩემპიონები გახდებიან, თუ არა — ჯგუფიდან ვერ გავლენ. რაც შეეხება ჯორდი კრუიფს, მას ასეთი დონის შეჯიბრებაში მონაწილეობა ჯერ არ მიუღია და ამდენად წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. დღეს გამოჩნდება მისი მზადყოფნა — გვითხრა თამაშის წინ ფრანკ რაიკაარდმა, რომელიც სალაპარაკოდ მოვიხელთეთ.

მატჩამდე ინგლისური პრესის ქილიკს საზღვარი არ ჰქონდა. ირონიის ობიექტს შოტლანდიელები, მათი მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი და ამ ბრიტანული გუნდის საძოძავლო შანსები წარმოადგენდა. ბრაუნზე, მაგალითად, წერდნენ, რომ, მართალია ეს კაცი მწვრთნელთა საერთაშორისო სემინარებზე სხვა ქვეყნების სპეციალისტებს ლექციებს უკითხავს, მაგრამ საკუთარი, წუხანდელი აზრები აღარ ახსოვს. ამ „გულმავიწყობით", აქაური გაზეთები მას ირლანდიელთა ყოფილ მწვრთნელს ჯეკი ჩარლტონს ადარებდნენ, რომელსაც თურმე (თუ დაეჯერებათ) საკუთარი ფეხბურთელების გვარები ავიწყდებოდა. აი, ბრაუნის რამდენიმე გამონათქვამი:

–ჰოლანდიას შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი გუნდი დაამარცხოს.

–ახლა ჰოლანდია ისეთი ძლიერი აღარ არის, 92-ში რომ იყო და ჩვენ მოგვიგო.

–ჰოლანდია ვან ბასტენისა და გულიტის გარეშე სუსტია.

–ჰოლანდია ბედნიერია, რომ შეუძლია თავისუფლად შეცვალოს ტრავმირებული ოვერმარსი, ფრანკ დე ბური, კლუივერტი. ჩვენ კი ამას მოკლებულნი ვართ.

–მჯერა, რომ დღეს გავიმარჯვებთ და პირველ ადგილზე გავალთ და ა. შ.

ინგლისელ სიტყვაგესლიანთა აზრით, თუ შოტლანდია ჰოლანდიასთან ისევე ითამაშებდა, ბოლო სამ ამხანაგურ მატჩში რომ ითამაშა (დანიასთან, აშშ-სთან და კოლუმბიასთან სულ 1 გოლი გაიტანა), ნიდერლანდელები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ. თითზე ისიც დაიხვიეს, რომ ბრაუნი შემადგენლობას წინასწარ არ აცხადებდა, რაზეც „თაიმზმა" ასე უპასუხა, ჰოლანდიას სულ არ აწუხებს შოტლანდიის შემადგენლობა და მისი ცვლილებებიო.

მართლაც, თამაშის დასაწყისი ბრიტანელებს კარგს არაფერს უქადდა. მე-6 წუთზე მოედნის სიღრმიდან პასით ნარინჯისფერებმა რიხარდ ვიჩხე მარცხენა ფრთაზე გარღვევაზე გაიყვანეს. მან საჯარიმოს ბოლომდე იქროლა და შუისკენ ჩააწოდა, სადაც ჯერ ზეედორფმა ვერ შეაგდო, შემდეგ კი ტაუმენტმა მცველს მოარტყა და ბურთი კუთხურზე გადავარდა. ასეთი რამ შოტლანდიელთა კართან კვლავაც დატრიალდა, თან რამდენჯერმე. ამ ეპიზოდების აღწერა ძნელია, რადგან საჯარიმოში მოხტუნავე ბურთი ჰოლანდიელებს მისდიოდათ, მათი დარტყმული კი შოტლანდიელებს ხვდებოდათ, შემდეგ ბურთი კვლავ ჰოლანდიელებთან მოგორავდა და ასე შემდეგ. ამას, გნებავთ, უიღბლობა უწოდეთ, გნებავთ, ქაოსი, გნებავთ, თავგანწირული დაცვა. თანაც, ამდაგვარი მომენტები მთელს თამაშში როდი იყო გაბნეული — ხან ზედიზედ პირველი ტაიმის თავში იქმნებოდა, ხან მეორეს ბოლოში. კონტრკუნტად შოტლანდიაც უტევდა — დიურის დარტყმა და ვან დერ სარის ნახტომი, ბოიდის პასით მაკალისტერის შესვლა, კვლავ ვან დერ სარმა რომ ივარგა, ანაც მაკალისტერის ის დარტყმა, ბურთი ექვსკაციან კედელს რომ შემოავლო და ჰოლანდიელთა მეკარეს ეფექტური ნახტომი შეასრულებინა. უნდა ითქვას, რომ მაკალისტერი შოტლანდიელთაგან თვალშისაცემი ფიგურა გახლდათ, ჰოლანდიის გუნდში კი ზეედორფი, ვიჩხე, ტაუმენტი, დევიდსი და კრუიფი ჩანდნენ სხვებზე მეტად. 24-ზე ვიჩხემ მორიგი ჯარიმა ჩაჰკიდა შორეულ ძელთან, აქედან თავით ჰოლანდიელებმა ბურთი პენალტის ნიშნულისკენ დააბრუნეს, სადაც ბერხკამპმა მკერდით მიღება და დაგდება სხარტად ვერ შეძლო და ამიტომაც მცველმა ტრადიციული ჩახტომა და „მკერდით გადაფარება" მოასწრო. ამ მომენტიდან, ტაიმის ბოლომდე დიდად აღსანიშნავი აღარაფერი მომხდარა. ისე, მეორე ტაიმმაც ვერ ივარგა პირველის დასაწყისთან შედარებით. ძირითადად ჰოლანდიელები უტევდნენ, მაგრამ ისეთი, ვფიქრობ, მაინც არაფერი უქნიათ, წლების მანძილზე რომ დაგვაჩვიეს.

მატჩის შემდეგ ჰოლანდიელთა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა თქვა: მართალია, შეხვედრა უგოლოდ დამთავრდა, მაგრამ „უემბლიზე" გამართულ გახსნის თამაშს მაინც სჯობდა. ჩვენებს მონდომება აკლდათ, რაც იმის ბრალია, რომ მოედანზე დენი ბლინდი არ გვყავდა. ერთადერთმა დევიდსმა ჩააქსოვა სული და გული, მაგრამ მის მოქმედებას აზრი აკლდა. პირველ ტაიმში ხელით თამაშისთვის პენალტი გვერგებოდა, თუმცა ამის გარეშეც უნდა მოგვეგო. სამწუხარო ისაა, რომ გოლის გამტანი ფეხბურთელი მაკლია. ამიტომაც იყო, რომ ფორვარდად დენის ბერხკამპი ვათამაშე, თუმცა თავად წინაამდეგი იყო. ახლა მე მისი თამაშით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მისი ბრალი არ არის. მეორე ტაიმში კლუივერტი კი გამოვიყვანე, მაგრამ ის ცუდ ფორმაშია. ისიც აღსანიშნავია, რომ პირველი თამაში ყოველთვის ძნელია. აწი ყოველი შეხვედრა ფინალის ტოლფასი იქნება.



შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი: ჰოლანდიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ფავორიტად კვლავ ამ გუნდს ვთვლი. რაც შეგვეხება ჩვენ, დავამტკიცეთ, რომ დაცვაში საუცხოოდ შეგვიძლია თამაში. როგორც იქნა დიდი ტურნირის პირველი თამაში არ წავაგეთ. უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ჯგუფში თანაბარი ძალის გუნდებია. კარგ ხასიათზე ვართ და ინგლისთან ალმაფრენით ვითამაშებთ. ჰოლანდიის გუნდში ბერხკამპი რომ წინ ხთამაშებდა ვიცოდი, მაგრამ მეგონა მასთან ერთად ჰუქსტრაც შემოგვიტევდა.

ზურაბ ფოცხვერია
მანჩესტერიდან



## ესპანეთი — ბულგარეთი 1:1

# ხრისტო — ჩაგრული და შეგინებული

ჩემპიონატის პირველ ორ დღეს ჩატარებული მატჩებიდან საუკეთესოდ ერთხმად აღიარეს ესპანეთ-ბულგარეთის შეხვედრა. მეტიც, გაზეთმა „ინდეპენდენტმა“ არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ჩემპიონატი სწორედ ლიდსის „ელანდ როუდზე“ დაიწყოო, განაცხადა. „თუ საერთოდ შესაძლებელია, რომ ერთ მატჩში მოხდეს თითქმის ყველაფერი, მაშინ ასეთი სწორედ ეს მატჩი იყო!“ — აღფრთოვანებული წერს „დეილი ტელეგრაფში“ ქრისტოფერ დევისი.

მართლაც: ორი გატანილი გოლი, პენალტი, ორი გაძევებული ფეხბურთელი, შვიდი — გაფრთხილებული, მრავალი საგოლე მომენტი ორივე კართან. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა არაა. ამას დავუმატოთ კიდევ ერთი: მატჩის 49-ე წუთზე იტალიელმა არბიტრმა პიერო ჩეკარინიმ არ ჩათვალა ხრისტო სტოიჩკოვის ულამაზესი დარტყმით გატანილი ეფექტური და აბსოლუტურად კანონიერი გოლი.

**სტოიჩკოვს რომ მაშინათვე შეძლებოდა ამ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერის ნახვა, იტალიელ ლაინსმენს უეჭველად პოლიციის გამოქომაგება დასჭირდებოდა — „დეილი ტელეგრაფი“.**



ასეა თუ ისე, ამ შემთხვევამ უფრო მეტად აალაპარაკა მსაჯთა კრიტიკოსები. აზრთა აბსოლუტური ერთიანობა არც ანდონი სუბისარეტას კარში დანიშნულ 11-მეტრიანს მოჰყოლია, მაგრამ თუ რეფერის ამ გადაწყვეტილების სამართლიანობას კატეგორიულად ვერავინ უარყოფდა, ის, რომ სტოიჩკოვის გოლის გაუქმება უხეში შეცდომა იყო, სადაო არ გამხდარა.

ამ ყბადაღებული ეპიზოდის მთავარი მოქმედი პირი ხრისტო სტოიჩკოვი კი ესპანელთა მწვრთნელის ხავიერ კლემენტეს მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცა: „სტოიჩკოვი მუდამ მზადაა, წარმატების მისაღწევად ყველაზე ულირსი ხერხებიც კი გამოიყენოს. — განაცხადა მან. — იგი მხარს წამოსწევს ხოლმე და მეტოქესთან მოახლოებისთანავე მინდორზე ეცემა ჯარიმის გამოსატყუებლად. მას კორექტულად თამაში მაშინაც კი არ სურს, როცა ამისთვის ყველა პირობა აქვს“.

მატჩის შედეგის შეჯამებისას ასეთი სურათი გამოიკვეთა: ესპანელები მატჩამდე ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ თამაშის მსვლელობისას აგებდნენ და, ამდენად, გადარჩენილი ქულით უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ. ბულგარელები მატჩამდე თითქოს წასაგებად იყვნენ განწირულნი და ერთი ქულა მათთვისაც ხეირი უნდა იყოს. ყველაზე გახარებული კი ფრანგები და რუმინელები დარჩებოდნენ. მათმა მეტოქეებმა არა მარტო ორ-ორი ქულა, თითო წამყვანი ფეხბურთელიც (გაძევებული ხუბჩევი და პიცი თითო მატჩს ავტომატურად გამოტოვებენ) დაკარგეს.

# გიოს — კოლინისგან: დაგვაბრუნე პრემიერ ლიგაში!

ასჯერ გაგონილს რომ ერთხელ ნანახი სჯობს, ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ ამდენად თუ სჯობდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. 9 ივნისს მანჩესტერში ჩასულებმა ისეთი რამ განვიცადეთ, გადმოცემა გაგვიჭირდება. მეტსაც გეტყვით: თავიდან ეს საქმე იმდენად უიმედოდ გვეჩვენა, ისიც კი ვიფიქრეთ, საერთოდ აგვეღო ხელი მკითხველისთვის ჩვენი ემოციების გაზიარებაზე და მასთან უშუალოდ საფეხბურთო ბატალიებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრა. საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ თუმც ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია, ზოგჯერ მხოლოდ გაგონილიც ნიშნავს არცთუ ცოტას.

ამოდენა შესავლისა და მასში მანჩესტერის ხსენების შემდეგ „სარბიელის“ მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, რომ აქ საქმე გიორგი ქინქლაძეშია. ფეხბურთის ქართველი ქომაგებისთვის ზედმეტია იმის შეხსენება, როგორი ავტორიტეტი მოიხვეჭა გიომ „მანჩესტერ სიტიში“ გატარებული ცხრა თვის მანძილზე, როგორ შეაყვარა თავი „სიტის“ გულშემატკივრებს...

ეს ყველაფერი, ცხადია, ჩვენც ვიცოდით, მაგრამ, გამოგიტყდებით, არ გვეგონა, თუ მანჩესტერში ყოფნის პირველსავე წუთებში მოგვეცემოდა საშუალება, თავად დავრწმუნებულიყავით, რომ ეს მართლაც ასე ყოფილა. არ გვეგონა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ინგლისის ეროვნული პირველობა კარგა ხნის დამთავრებულია და მეორეც: დღეს ფეხბურთის სამშობლო „ძველი სამყაროს“ უძლიერეს გუნდებს მასპინძლობს და ქომაგთა მთელი გულისყური ახლა სწორედ მათკენ არის მიპყრობილი. გაითვალისწინეთ ისიც, რომ C ჯგუფის მატჩებს მასპინძლობს არა „სიტის“ სტადიონი „მეინ როუდი“, არამედ მისი სპორტული მტრისა და ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონის „მანჩესტერ იუნაიტედის“ სახელგანთქმული „ოლდ ტრეფორდი“.

...თამაშების დღეებში ქალაქის ცენტრსა და სტადიონს შორის მაყურებელთა გადაყვანის საქმეს სატრანსპორტო კომპანია „ფინზლენდი“ აგვარებს. გზად „ოლდ ტრეფორდისკენ“, ავტობუსის მძღოლმა ჩვენი საააკრედიტაციო ბარათები რომ დაინახა, ფეხბურთზე ჩამოგვიგდო საუბარი. ჩვენც, ვითომ სხვათა შორის, დავინტერესდით, მანჩესტერელ გულშემატკივართა რომელ ბანაკს მიეკუთვნებოდა იგი — „სიტისა“ თუ „იუნაიტედის“. „რა თქმა უნდა, „სიტის“! — ამ პასუხმა თითქოს ხელ-ფეხი გაგვიხსნა და პირდაპირ ქინქლაძეზე გადავედით. „ქინქლაძე? ქინქლაძე ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელია!“ — ამაყად მოგვიგო მძღოლმა. ჩვენც რაღას დავაყოვნებდით და ვუთხარით, რომ ქართველები ვართ.

შეუძლებელია იმის აღწერა, რაც ჩვენს თანამოსაუბრეს ამის გაგონებაზე დაემართა. ავტობუსი შუქნიშანთან გააჩერა თუ არა, ფეხზე წამოხტა და სახეგაბადრულმა ორივეს მაგრად ჩამოგვართვა ხელი. თან გაიძახდა, მე კოლინი მქვია და ბედნიერი ვარ, რომ ქართველებს ვართმევ ხელსო.

როცა შეიტყო, გიოს პირადადაც ვიცნობდით, კიდევ უფრო აღელდა. რას აპირებს ქინქლაძე? „მანჩესტერ სიტიში“ რჩება თუ მიდისო, გვკითხა. რაც ვიცოდით, წინა დღეს „უემბლიზე“ ალექსანდრე ჩივაძისა და ვლადიმერ გუცაევისგან გაგონილი სიახლეებიც დავუმატეთ და, თუმცა კოლინის გაწბილება არ გვინდოდა, მაინც ვუთხარით, რომ „სიტიში“ ქინქლაძის დარჩენა მეტად სათუოა.

ჩემი ყურით მოვისმინე „სიტის“ თავმჯდომარის ფრენსის ლის სიტყვები, თუ ქინქლაძე წავა, მეც წავალო — ხავსს მოეჭიდა კოლინი. მაგრამ რომ შევგვატყო, მისმა ნათქვამმა მანჩესტერში ქინქლაძის დარჩენის უეჭველობაში ვერ დაგვარწმუნა, შეწუხებული სახით გვითხრა: „რაკი გიოს იცნობთ, მასთან ერთ რამეს დაგაბარებთ: უთხარით, კოლინმა ძალიან გთხოვა, ერთ სეზონს კიდევ დარჩი ჩვენთან, პრემიერ ლიგაში დაგვაბრუნე და მერე შენთვის გზა დამილოცნიაო. უთხარით, მარტო ერთ სეზონს გთხოვს-თქო!“ ვფიქრობთ, კოლინის თხოვნა შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს.

-გვიან საღამოს „ოლდ ტრეფორდიდან“ ქალაქის ცენტრში ვბრუნდებოდით. რომელილაც გზაჯვარედინთან ინგლისელ გულშემატკივრებს მოეყარათ თავი. ერთ-ერთს ეცვა მაისური, რომელსაც ქინქლაძის გვართან ერთად საქართველოს დროშის გამოსახულება ამშვენებდა.

ასჯერ გაგონილს მართლაც ერთხელ ნანახი სჯობს!

## გერმანია — ჩეხეთი 2:0

# ბუქმეიქერებს არაფერი ეშლებათ

„ოლდ ტრეფორდზე“ კი იმ დღეს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, გერმანიის ნაკრები ერთ-ერთ აუტსაიდერს, ჩეხეთის ეროვნულ გუნდს შეხვდა. და თამაშიც ზუსტად ისე წარიმართა, როგორც უმეტესობა ელოდა — გერმანელთა სრული უპირატესობით. მართალია, ბერტი ფოგტსმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მეტოქის ძლიერ მხარეებს გაუსვა ხაზი და გერმანელთა მეკარემ ანდრეას კეპკემაც სცადა დავერწმუნებინეთ, რომ მის გუნდს მოგება საკმაოდ ძნელად ერგო, მათი ნაუბარი ყველამ დიპლომატობად აღიქვა.

გერმანელთა მოგებას ყველაზე სწრაფად ინგლისელი ბუქმეიქერები გამოეხმაურნენ. თუ ტურნირის დაწყებამდე მათ ჩემპიონობაზე ფულის დამდები ერთ გირვანქაში ერთბაშად ოთხს მიიღებდა, ახლა ის, ვინც მათზე დადებს ფსონს, წარმატების შემთხვევაში მხოლოდ სამს მიიღებს.

ზურაბ მექველია
შეფილდიდან



## დანია — პორტუგალია 1:1

# პორტუგალია ყველას მოეწონა, დანიას კი ქულა უხარია

ფრე, როგორც წინაზე შეგატყობინეთ, ორივე გუნდის თავკაცს ეამა. გახარებული მიოლერ-ნილსენი მოედანზეც კი შეიჭრა და მოთამაშეები დაკოცნა, თუმცა ეს საქციელი ვერ დაფარავს იმ ხარვეზებს, დანიელთა თამაშში რომ შეინიშნება — ძმები ლაუდრუპების (თუმცა მიქაელის თამაშს ბრწყინვალე არ ეთქმოდა), შმაიხელისა და მატროსოვივით თავგანწირული მცველების ყოლა დიდი გამარჯვების გარანტია სულაც არ არის. ამას ყველაზე კარგად თავად ლაუდრუპები ხვდებიან. უფროსმა შემდგომისთვის ტაქტიკის შეცვლისკენ მოუწოდა მწვრთნელს, უმცროსის აზრი ჯგუფის ფავორიტებზე კი გუშინ მოგახსენეთ. დანიელებმა მადლობა უნდა თქვან, რომ ოლივეირას თამაშის წინ თავდამსხმელის პრობლემა ჰქონდა — დომინგუშს ბოლომდე ვერ მოურჩენია მუხლის ტრავმა. ვფიქრობ, სწორედ მისი არყოფნით აიხსნება პორტუგალიელთა მიერ საგოლე მომენტების გამოყენების მცირე პროცენტი. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ინგლისის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა ჯონ ბარნსმა: პირველ ორ დღეში ყველაზე მეტად პორტუგალია მომეწონა, მაგრამ თუ გოლის გამტანის პრობლემა არ გადაჭრეს, დღევანდელივით მოუვათო. პორტუგალიამ ინგლისური მედიაც ალაფრთოვანა. „ინდეპენდენტი“ წერს, რომ დანიას ქულა პირადად შმაიხელმა მიართვა. „თაიმზი“ იხსენებს, რომ კარგად შეწყობილ-შეთამაშებული პორტუგალიელთა ნაკრები, ფაქტიურად, 1989 წლიდან არსებობს. მაშინდლიდან მოყოლებული, როცა ეს თაობა იუნიორთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ტურნირებზე თამაშობდა, პორტუგალია ან იგებდა ამ შეჯიბრებებს, ანაც პრიზიორებში ხვდებოდა. დანია კი... მიქაელს თუ დაუჯერებენ და ტაქტიკას შეცვლიან, არ ვიცი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა რომ არ არის, ფაქტია — ერთობ სუსტ ბეკსა და დამძიმებულ ჰენრიკ ლარსენს ვეღარავინ შეცვლის. რაც შეეხება დანიელთა ფანებს, „შეფილდ უენსდეის“ გულშემატკივართა ტრიბუნა რომ შეავსეს და ტრადიციული ლურჯ-თეთრი ფერები წითელ-თეთრით შეცვალეს, იმედით არიან. 15 000 დანიელი თამაშის მერე ადგილობრივ მოსალხენ დაწესებულებებს მოედო და დილის ოთხ საათამდე აღნიშნავდა ქულის მოპოვებას, თან „ვი არ ზი ჩემპიონს“ მღეროდა — იმედი იმედად, მაგრამ თავადაც ხვდებიან, რომ ამ სიმღერის უფლება 30 ივნისს „ოფიციალურად ჩამოერთმევათ“.

# მშვიდობით, იურგენ!

საბრალო იურგენ კოლერი! კაცს იმედი ჰქონდა, გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდება და მეც სახელოვნად დავანებებ ნაკრებს თავსო. ვინ იცის, იქნებ კოლერის გუნდი მართლაც გახდეს კონტინენტის უძლიერესი, მაგრამ ფეხბურთელი ამ ტრიუმფში მონაწილეობას ნამდვილად ვერ მიიღებს.

30 წლის კოლერი ჩეხებთან მატჩში დისკვალიფიცირებული კლინსმანის ნაცვლად კაპიტნობდა გერმანელებს. იგი 84-ე მატჩს ატარებდა ნაკრებში. მე-10 წუთზე, ზემოთ რომ მოგახსენეთ იურგენის ის ოცნება, დაიმსხვრა: ჩეხთა ფორვარდს პაველ კუკას შეეჯახა და მუხლის მყესი სერიოზულად დაიზიანა. ექიმთა ვერდიქტი ცხელ გულზე ასეთი იყო: სასწრაფოდ სამშობლოში, გერმანიაში გამგზავრება და ოპერაცია.

გუშინ გადაწყვეტილება ოდნავ შერბილდა — ოპერაცია საჭირო აღარ არის, მაგრამ იურგენს მაინც მოუწევს ინგლისის დატოვება და გერმანიაში სარეაბილიტაციო პროგრამის სასწრაფოდ გავლა. ასეა თუ ისე, კოლერი ევრო-96-ს გამოაკლდა.

თავად კოლერმა, ქართული იგავისა არ იყოს, გული უფრო მტკივა, ვიდრე დაშავებული მუხლიო-განაცხადა და დასძინა: „ჩვენს პროფესიაში ასეთი რამ ხშირად ხდება. შეიძლება ნებისმიერ მომენტში დაშავდე. გულგატეხილი ვარ, რადგან ევროპის ჩემპიონატი ჩემთვის ბოლო დიდ შეჯიბრებად დავისახე. არაუშავს, კარიერაში მრავალი ბრწყინვალე მომენტი მქონდა. ახლაც, ჩემპიონად გახდომის კარგი შანსი გვაქვს. მე კი ვიმკურნალებ და ხუთ-ექვს კვირაში დავუბრუნდები ფეხბურთს, ოღონდ, მხოლოდ „ბორუსიას“.

გერმანიის მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ეს რომ გაიგო, საშინლად შეიცხადა: „დარწმუნებული ვარ, ეს არ იყო ნაკრებში კოლერის ბოლო მატჩი. მე ველოდები მის დაბრუნებას და მოხარული ვიქნები როცა ეს მოხდება. რაც შეეხება იურგენის შემადგენლობიდან ამოვარდნას, ეს უდიდესი დანაკლისია, რადგან კოლერი ჩემპიონატის საუკეთესო მცველია. თუმცა, მარკუს ბაბელმა არცთუ ურიგოდ შეცვალა იგი“.



იურგენ კოლერი ამიერიდან მხოლოდ ცოლ ეხთერს და „ბორუსიას“ ეკუთვნის

ფოგტსის განცხადების მიუხედავად, კოლერი მაინც აღარ აპირებს არც ნაკრებში თამაშს და არც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობას. სავარაუდოდ, იგი საერთაშორისო ამხანაგურ გამოსათხოვარ მატჩს ითამაშებს, რის შემდეგაც თავს მთლიანად უძლევნის დორტმუნდის „ბორუსიას“.

კვლავ გერმანია — ჩეხეთის მატჩზე მომხდარ ინციდენტს დავუბრუნდეთ. კოლერმა არ დაადანაშაულა თავისი დამშავებელი პაველ კუკა: „საუბედუროდ, მან ბრძოლისას ფეხი მუხლზე დამაბიჯა, მაგრამ ყველაფერი მოხდა შემთხვევით და ბოროტი განზრახვის გარეშე“.

# საკი ჭმუნავს

იტალიის ნაკრების თავკაცი არიგო საკი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. ფიქრები მას შაბათის შემდეგ მოაწვა, როცა იტალიამ 2:0 მოუგო „სტოკ სიტის“: „თამაში იყო ნელი და დუნე, ძირითადად იმიტომ, რომ ჩემი ფეხბურთელები ფიზიკურად გადაიღალნენ და ფსიქოლოგიურადაც. მთელი ღამე ვიდეოთი ვუყურებდი მატჩს და ჩემს თავს ვეკითხებოდი, ვინ არის მზად რუსეთთან სათამაშოდ და ვინ — არა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან რუსებთან შეხვედრისგან მაქსიმალურ ხეირს ვგეგმავ.“

საკის პირველ რიგში „იუვენტუსისა“ და „მილანის“ მოთამაშეების მდგომარეობა აწუხებს — უდაბაბულესმა სეზონმა პირველ მატჩში არ იჩინოს თავიო. აკი განუცხადა კიდეც მოთამაშეებს — სამშაბათს ლივერპულში მოედანზე გავლენ ისინი, ვინც იმ მომენტში იქნებიან ყველაზე კარგადო.

საკის მეორე თავსატეხი ისაა, თავდასხმაში ვინ დააყენოს. „სტოკ სიტისთან“ მატჩი დაიწყეს იუვენტუსელმა ფაბრიციო რაველიმ და „პარმას“ ჩია ვარსკვლავმა ჯანფრანკო ძოლამ. მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა ენრიკო კიეზამ, ვისაც ერთადერთხელ უთამაშია ნაკრებში, მეორე ტაიმში გოლიც გაიტანა და ყველასაც მიანიშნა, სანამ საბოლოო შემადგენლობას დაასახელებთ, კარგად დაფიქრდითო.

# ხორვატიისთვის ბიჭები სწორდნენ

ხორვატიის ნაკრები ცენტრალურ ინგლისში, ქალაქ რათლენდ ვოთერში ბინადრობს. კვირა საღამოს, მშვენიერი დარი რომ იდგა, გუნდის კაპიტანმა ზვონიმირ ბობანმა ენა ამოიდგა და ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

„ჩვენ, ხორვატიის ნაკრები, ვიქნებით ევრო-96-ის ბომბი. ჩვენ არა მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გასვლა, არამედ ჯგუფური ტურნირის მოგება შეგვიძლია. ვიცი, ყველა გუნდს თავისი თავის იმედი აქვს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა სხვაა: იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც ოთხი წელიწადი უბედურება მძინვარებდა. ამდენად, ვალდებულნი ვართ ჩვენს ხალხს მშვიდობასთან ერთად სიხარულიც დავუბრუნოთ“.

ნაკრების ნახევარმცველს ნენად პრალიას, რომელიც ევრო-96-ზე ვერ მოხვდა, ომის დროს ძმა, დენისი დაეღუპა — დანაღმულ ველზე მავალი აფეთქდა. ამ ტრაგედიამ, თურმე, კიდევ უფრო შეადუღა ისედაც მჭიდროდ შეკავშირებული ხორვატთა გუნდი. ბობანი აგრძელებს:

„გუნდში დიდი ფეხბურთელები გვყავს. მაგრამ უმთავრესი იმ გახლავთ, რომ უკლებლივ ყველა დიდი მეგობრები ვართ. მე ბევრ კლუბში მითამაშია, მაგრამ ასეთი მტკიცე გუნდური სულისკვეთება არსად მინახავს. ეს იგივეა, რომ მოედანზე მე-12 მოთამაშე გყავდეს.“

კაპიტანს კვერს უკრავს დავორ შუკერიც, მადრიდის „რეალში“ ახალ გადასული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი: „ჩვენ არავის და არაფრის გვეშინია. ვიმედოვნებ, ჩვენი ნიჭითა და ჟინიანობით კარგად გამოვალთ. ისეთი ახალი ქვეყნისათვის, როგორც ხორვატიაა, ძალზე მნიშვნელოვანია ამგვარ დიდ ფორუმზე წარმატებით ასპარეზობა.“

მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩს სიტყვა არ დაუძრავს. ჩემი საზრუნავი თურქეთთან სამშაბათს გასამართი მატჩიაო, განაცხადა.

ამასობაში ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციამ თანხმობა განუცხადა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მასპინძელ საფრანგეთს — ორი წლის განმავლობაში ორ ამხანაგურ მატჩს გეთამაშებითო.

## რეიტერის თვალით

EURO 96 England

ყოველი თამაშის შემდეგ რეიტერის სააგენტო მოთამაშეთა მისეულ შეფასებებს ავრცელებს. 10 ბალიანი სისტემით ქულათა დარიცხვის სისტემა, ვფიქრობთ, ერთობ ობიექტურია, ამიტომაც ვეცდებით ასეთივე ნიშნები ყოველი თამაშის შესახებ შემოგთავაზოთ.

| ესპანეთი | ბულგარეთი |
|---|---|
| სუბისარეტა 6 | მიხაილოვი 7 |
| ბელსუე 6 | ხუბჩევი 5 |
| ალკორტა 6 | კიშიშევი 5 |
| აბელარდო 5 | ივანოვი 6 |
| სერხი 6 | კირიაკოვი 6 |
| კამინერო 5 | ლეჩკოვი 7 |
| ამორი 6 | იანკოვი 6 |
| იერო 8 | ბალაკოვი 6 |
| ლუის ენრიკე 6 | სტოიჩკოვი 8 |
| გერერო 4 | კოსტადინოვი 8 |
| პიცი 5 | პენევი 5 |

| გერმანია | ჩეხეთი |
|---|---|
| კეპკე 7 | კოუბა 6 |
| როიტერი 6 | სუხოპარეკი 8 |
| ჰელმერი 6 | კადლეცი 6 |
| ზამერი 7 | ჰორნიაკი 6 |
| კოლერი 6 | ლატალი 5 |
| მიოლერი 9 | ნედვედი 6 |
| ჰესლერი 7 | ნემეცი 6 |
| ციგე 8 | პობორსკი 6 |
| აილტსი 7 | ფრიდეკი 5 |
| ბობიჩი 7 | ბეიბლი 8 |
| კუნცი 6 | კუკა 6 |

| დანია | პორტუგალია |
|---|---|
| შმეიხელი 10 | ვიტორ ბაია 7 |
| ჰელვეგი 7 | პაულინიუ 7 |
| რიპერი 7 | კოუტუ 8 |
| ჰოგი 7 | ჰელდერი 7 |
| რისაგერი 6 | დიმაში 7 |
| სტენ-ნილსენი 6 | ოსეანუ 6 |
| ლარსენი 7 | ფიგუ 7 |
| ტომსენი 7 | სოუზა 7 |
| მ. ლაუდრუპი 8 | კოშტა 9 |
| ბ. ლაუდრუპი 9 | პინტუ 8 |
| ბეკი 7 | სა პინტუ 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყუპები — კიდევ ერთი თურქული წელიწადი




მავანს რომ სერიოზულად სჯერა, ქინქლაძისგან ალბათ ხეირში ხართ, თორემ რა ამბავია, ყოველ „სარბიელში" მასზე წერაო, მავანიც არველაძეებთან „ალიანსს" გვაბრალებს, ისე როგორ იქნება, მუდამ ამათზე წერაში რაღაც ინტერესიაო. რას იზამ, ძმიმე შემთხვევააო, ამაზეა ნათქვამი და ღვთის მადლით, ასეთები თითო-ოროლაა. უმრავლესობა კი რედაქციაში იმიტომაც რეკავს, გაიგო რა ქნა ქინქიმ ?კიჭები კვლავ ტრაბზონში რჩებიან? ჰოდა, საინტერესო ამბები სწორედ ამათთვის...

ზოგმა გაზეთმა, ტყუპებმა ხელი ორწლიან კონტრაქტს მოაწერესო, ზოგიც, ორიანს კი არა, ერთიანსო, აზუსტებს. თავად შოთამ კი აი ეს გვითხრა:

— კონტრაქტზე ხელის მოწერა რასაც ჰქვია, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. ჩვენ მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა მივეცით „ტრაბზონს", რომ 1996-97 წლების სეზონს იქ გავატარებთ. ეს, ფაქტიურად, კონტრაქტზე ხელი მოწერას ნიშნავს, მაგრამ ცერემონიალი როგორც ასეთი, ჯერ არ შემდგარა.

**— უამრავი კლუბიდან, „დეპორტივო" ყველაზე რეალურ წინადადებას გთავაზობდა. აკი ანთალიაშიც კი მოგაგნეს. რა პირობებს გთავაზობდნენ და რატომ თქვით უარი?**

— უარი რატომაც ვთქვი, ყველამ კარგად იცის. მე აჩიკოს ასეთ დღეში არ მივატოვებ. რომ თამაშობდეს და არ მოეწონოთ, სხვა საქმეა. მაშინ უეჭველად გადავიდოდი, მაგრამ ახლა მირჩევნია, კიდევ ერთი სეზონი ისევ თურქეთში დავრჩეთ, არჩილი მომაგრდეს, მერე ვნახოთ...

ახლა „დეპორტივოს წინადადებაზე. ბოლოსდაბოლოს, კლუბის წარმომადგენლებმა ასეთი რამ შემოგვთავაზეს: ეს ერთი სეზონი დავრჩეთ „ტრაბზონში", ახალი, 1997-98 წლების სეზონიდან კი „დეპორტივოში" ვითამაშოთ. ოღონდ, კონტრაქტზე ხელის მოწერა ახლავე იყოსო. ამ წინადადებამ დაგვაფიქრა, ეს ნიშნავს, რომ მომავალი უკვე მზად გვაქვს, მაგრამ არ ვჩქარობთ, დავიცდით კიდევ ერთ სეზონს, იმედი მაქვს, არც ამ სეზონში შევირცხვენთ თავს და მერე იქნებ უკეთესი წინადადებებიც შემოგვთავაზონ სხვა კლუბებმა.

**— „დეპორტივო" რამდენწლიან კონტრაქტს გთავაზობთ?**

— ოთხ-ხუთწლიანს. ახლა ყველა სერიოზული კლუბი გრძელვადიანი კონტრაქტების დადებას ცდილობს.

**— საბერძნეთში როდისღა დაინტერესდნენ შენით?**

— იმათ ნაკრებთან თამაშის მერე აეროპორტშივე მოვიდნენ, ათენის კლუბებიდან იყვნენ. მე „ატლეტიკო" და „დეპორტივო" მელაპარაკებოდა და აზრი არა აქვს ჩვენს საუბარს-მეთქი, ვუთხარი.

**— ახლა ისევ თურქეთს დავუბრუნდეთ. როგორც გავიგე, თქვენი მწვრთნელი შენოლ გიუნეში მოუხსნიათ. ვინ უთავკაცებს „ტრაბზონს"?**

— შენოლი ერთი წლით დატოვეს.

**— „ფენერბაჰჩეს" მწვრთნელმა პარეირამ ერთ თურქულ გაზეთში დაწერა, ტყუპები რომ მყავდნენ, ჩემპიონთა თასის ჯგუფური ტურნირი რაა, მეოთხედფინალს გავცდებოდიო. გავიგე, სტამბოლში სერიოზულად მუშაობენ თქვენს გადასაბირებლად.**

— გამორიცხულია. თურქეთში ჩვენ სხვა გუნდში ვერ ვითამაშებთ. ალბათ გასაგებია, რატომაც.

**— მოკლედ, ძმა ძმისთვისაო, თქვენზეა ნათქვამი.**

— ასეა, დარწმუნებული ვარ, არჩილიც ასე მოიქცეოდა. უკვე მოურჩა ფეხი, აგვისტოში ბურთით ვარჯიშსაც დაიწყებს. აი, ნახავთ, ათამაშდება არჩილი და მერე ბევრმა კლუბმა შეიძლება თითზეც იკბინოს...

მამუკა კვარაცხელია


# სარბიელი
## ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატის პირველი წრე

11 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია - რუსეთი | 1,4 | 3,1 | 4,7 |
| თურქეთი - ხორვატია | 5,7 | 3,6 | 1,25 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,0 |
| იტალია | 2,2 |
| გერმანია | 2,5 |
| ჰოლანდია | 5,0 |
| ესპანეთი | 5,0 |
| საფრანგეთი | 7,0 |
| ხორვატია | 10,0 |
| რუსეთი | 10,0 |
| დანია | 15,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| რუმინეთი | 20,0 |
| შოტლანდია | 20,0 |
| ბულგარეთი | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 75,0 |
| თურქეთი | 100,0 |

ჯგუფიდან გასვლის ფსონები ადგილზე დააზუსტეთ

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე


## იმნაძე „გურიას" დაუბრუნდა

გიგლა იმნაძე, დარხეული ხმების თანახმად, ბათუმის ახალი მთავარი მწვრთნელი უნდა ყოფილიყო. ამ ხმების საწინააღმდეგოდ იმნაძე მცირე შესვენების შემდეგ ლანჩხუთს დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ იგი „გურიის" მეორე მწვრთნელი გახლდათ, მაგრამ ფინანსური გაჭირვების გამო გუნდი დატოვა.

იმნაძე უკვე მეორედ უბრუნდება ლანჩხუთს — პირველად იგი გუნდში 1994 წელს, ფოთის „კოლხეთიდან" წამოსვლის შემდეგ დაბრუნდა.

## სახვაძე და ალექსიძე „ჩელსიში"?

არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თბილისის „დინამო-2"-ის წევრები არჩილ სახვაძე და რატი ალექსიძე ლონდონის „ჩელსის" ახალგაზრდულ გუნდში გასასინჯად მიდიან. ამბის დაზუსტებისას არჩილ სახვაძემ გვითხრა, რომ ის და ალექსიძე 15 ივნისს აპირებენ ინგლისს გამგზავრებას. „დინამოს" დირექტორატის წევრმა რომან შოთაძემ კი გვაცნობა, რომ ყველაფერი უახლოეს ხანს დაზუსტდება: „აქ რამდენიმე პრობლემაა. ჯერ ერთი, ჩვენი ფედერაციის დებულებით 23 წლამდე ფეხბურთელს უცხოეთში წასვლა ეკრძალება, ალექსიძე და სახვაძე კი უმცროსნი არიან. მეორეც — გასარკვევია, რამდენად სერიოზულია ეს წინადადება. „დინამოს" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ამჟამად გერმანიაშია და მისი ჩამოსვლის მერე ყველაფერი დაზუსტდება.

## ამერიკაში, ვაკურად




„ვაკე 91"-ის 1984 წელს დაბადებულმა ფეხბურთელებმა საქართველოში მოუგებელი არაფერი დატოვეს და ევროპასაც გადაწვდნენ. ეგ კი არა, მაისში ამერიკას გაემგზავრნენ და ლოს ანჯელესში ჩაფრენილებმა პირველივე ტურნირზე, ლამის თვითმფრინავის ტრაპიდან რომ დაიწყეს, მესამე ადგილი დაიკავეს. სამი დღის მერე კი, მეორე ტურნირში ამერიკის, კანადის, მექსიკის და პერუს გუნდებს ადინეს ბდღვირი და ჩემპიონებიც გახდნენ. ესეც არ იკმარეს და ლოს-ანჯელესში გამართული მესამე ტურნირიც მოიგეს. ჩვენ კი იმასღა დავძენთ, რომ ამჟამად ამერიკაში სამკურნალოდ მყოფი კლუბიის პრეზიდენტი კოტე დოლიძე იქ ცნობილ კიეველ ფეხბურთელს ალექსანდრ ხაპსალისს დამეგობრებია და ჩვენი ბავშვების მწვრთნელიც მას გაუჩარხავს. ვაკელთა მწვრთნელი კვლავ ზაზა დიდებაშვილია, ვისი მეთაურობითაც შარშან დანიაში ამ ბავშვებმა „დანაკაპის" ტურნირზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს. „დანაკაპის" წლევანდელ, მე-15 გათამაშებაზე ამ ტურნირის მენეჯერმა ჯონ რობერტ ლარსენმა კვლავაც მიიწვია ვაკელები, კოპენჰაგენში მცხოვრებმა ქართველმა ქალბატონმა მარინე არაყიშვილმა და თბილისში ახლახან დაფუძნებულმა „სკანდინავიურმა სახლმა" კი დანიაში ცხოვრებისა და მგზავრობის პრობლემები მოუგვარეს.

## ახალი ერთობა — „შევარდენი" — „უნივერსიტეტი"?

როგორც შევიტყვეთ, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება „შევარდენსა" და II ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში მოასპარეზე თბილისის „უნივერსიტეტის" გაერთიანების თაობაზე. თუკი გუნდების ხელმძღვანელები შეთანხმდებიან, მაშინ „უნივერსიტეტი" „თეთრი არწივისა" და „ლოკომოტივის" შემდეგ იქნება მესამე გუნდი, რომელიც შეუერთდება „შევარდენს".


**კომპიუტერები**
**პრინტერები**
**მულტიმედია**
**პროგრამები**

როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით

გარანტია 1 წელი

შპს კომპუსი

გარანტიის შემდგომი მომსახურება;

☎ 93-91-03
37-12-96

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ)
11 სართული, ოთახები 1104, 1105


## ვისი სული გსურს?

ჩვენი ჩემპიონატის დასრულება და ტრადიციული სატრანსფერო ფორიაქის ატყდომა ერთი იყო. ფეხბურთელთა გადაბირების მსურველთა შორის, ბუნებრივია, ევროთასებზე მოასპარეზე გუნდები გამოირჩევიან. თუმცა, არც სხვა კლუბების ხელმძღვანელები სხედან გულხელდაკრეფილნი, განსაკუთრებით ზუგდიდის „ოდიშისა".

ბათუმელთა პრეზიდენტის რევაზ ჩელებაძის თქმით, იგი თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობას შესთანხმებია „დინამოს" ძირითადში არმყოფ მოთამაშეთა თასების თასზე ბათუმში თამაშის თაობაზე. ჯერ კი კონკრეტულად ორი ფეხბურთელის გვარი დაგვისახელა — მეკარე დავით გვარამაძე და ნახევარმცველი პაატა გამცემლიძე. თუმცა ამ უკანასკნელს ტრავმა გამიზეზებია და ამჟამად საკითხავია, მოასწრებს თუ არა მომჯობინებას. სავსებით შესაძლოა, ბათუმელთა შორის ვიხილოთ ახალგაზრდული ნაკრების წევრი ვალტერ გუჩუაც, რომლითაც ამავდროულად „ოდიში" და დანიის „ბრონდბიუ" არიან დაინტერესებულნი.

აშკარაა, ჩვენი კლუბების პრეზიდენტები „დინამოს" ძირითადში მოუხვედრელ მოთამაშეებზე არიან გაფაციცებულნი. სწორედ ეს გახლდათ ამ რამდენიმე დღის წინ ფოთელთა დილმის ბაზაზე სტუმრობის მიზეზი. ამგვარ ვიზიტთა შედეგებს უახლოეს ხანს შევიტყობთ.

ბოლოს შემოგთავაზებთ ნუსხას, რომლითაც შეიტყობთ, რომელ კლუბს რომელი ფეხბურთელი სურს:

თბილისის „დინამო" — ზ. ჯელაძე, გ. ჩხაიძე („სამტრედია"), ზვ. ხორგუაშვილი („დილა"), დ. გოდერძიშვილი („შევარდენი")

„მარგვეთი" — დ. ჭიჭვეიშვილი, პ. გამცემლიძე, გ. ტრაპაიძე, ზ. ზამთარაძე („დინამო-2"), ზ. ლაცაბიძე („ივერია"), ჟ. გვასალია („სამტრედია"), გ. ჯიკაევი (უგუნდო), ზვ. ხორგუაშვილი („დილა"), ვ. და ს. გიგიაძეები.

„კოლხეთი" — გ. გადელია, ლ. ხორხელი („დინამო"), გ. ტრაპაიძე, ზ. ზამთარაძე, გ. გახოკიძე („დინამო -2), გ. დარასელია, პ. ლურსმანაშვილი („სამტრედია")

„ბათუმი" — ზ. ჯელაძე, გოგიაშვილი, ჩხაიძე („სამტრედია"), გუჩუა (უგუნდო), გამცემლიძე („დინამო-2"), გვარამაძე („დინამო")

„ოდიში" — გ. ჭანტურია, გ. გახოკიძე („დინამო"), გ. დარასელია, ჟ. გვასალია („სამტრედია"), ჯიშკარიანი, ცომაია, გუჩუა, ჭედია (უგუნდოები), მ. ფოცხვერია (ზაპოროჟიეს „მეტალურგი"), ჯიქია, კვიტატიანი („შევარდენი")

„სამტრედია" — გ. გელაშვილი, გ. ჯანელიძე, ქ. ჯანაშია („სამგურალი")

## ისრაელთან შეხვედრა აღარ შედგება

არადა, უკვე არსებობდა შეთანხმება საქართველო — ისრაელის ეროვნულ ნაკრებებს შორის ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე. შეხვედრა 14 აგვისტოს თელავივში უნდა ჩატარებულიყო. მატჩის არგამართვის მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ პერიოდისთვის ორივე ნაკრების წევრები საკუთარი ჩემპიონატებისა და ევროთასების თამაშებისთვის სამზადისში იქნებიან და მათი გამოძახება, ფაქტიურად, შეუძლებელი გახდება.

## კარიაული პაოკში?

შსს აკადემიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მარცხენა მცველმა დათო კარიაულმა ბედის საძიებლად საბერძნეთს მიაშურა. იგი სალონიკის პაოკში გასინჯეს. როგორც შევიტყვეთ, დათოს მწვრთნელებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დაუტოვებია. გარდა მშვენიერი თამაშისა, მას ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრაში გოლიც გაუტანია. მოკლედ, სალონიკელებთან კონტრაქტის დადებას წინ არაფერი უდგას. კონტრაქტის ამბავი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

## დოლაბერიძე სოჭელთა კარს დაიცავს

ეს გუნდი „ჟემჩუჟინა" არ გეგონოთ, საუბარი მის ფარმ-კლუბ „დინამოზეა". სწორედ ამ გუნდმა დაიტოვა სოჭში გასასინჯად ჩასული სამტრედიელთა ყოფილი მეკარე. სოჭში დოლაბერიძე ყოფილ თანაგუნდელებთან — ჯელაძესთან და გოგიაშვილთან ერთად გაემგზავრა. ისინი „ჟემჩუჟინაში" იმყოფებიან გასასინჯად და უკვე საკონტროლო შეხვედრებიც კი ჩაატარეს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა ზვიად ჯელაძე საქართველოში დაბრუნდეს. მასით თბილისისა და ბათუმის „დინამოს" ხელმძღვანელობაა დაინტერესებული.



## NBA Finals 1996 მორჩა?

**ჩიკაგო — სიეტლი 3:0**

**9 ივნისი. სიეტლი**

**ჩიკაგო ბულზი — სიეტლ სუპერსონიკსი 108:86 (34:16, 28:22, 13:23, 33:25)**

**ჩიკაგო: ჯორდანი (36), კუკოჩი (14), პიპენი (12), როდმანი (5), ლონგლი (19); კერი (8), ჰარპერი, ვენინგტონი (6), ბრაუნი (6), ბიუჰლერი (2), სეილი**

**სიეტლი: პეიტონი (13), ჰოკინსი (12), შრემპფი (20), კემპი (14), ჯონსონი; პერკინსი (9), ესკიუ (2), ბრიკოვსკი (5), ვინგეიტი (5), შეფლერი, სნოუ**

რა არის ეს? შეიძლება ჩავთვალოთ, ფინალი მორჩა და მეოთხე მატჩს, ოთხშაბათს რომ გაიმართება სიეტლში, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ექნება? ალბათ ასეა. ყოველ შემთხვევაში „ჩიკაგომ" კვირას, ელემენტარულად, გადაუარა „სიეტლს". თანაც, მიმდინარე წლის ფლეი-ოფსა და ფინალში საუკეთესოდ ითამაშა.

„ხარები" ჯერ კიდევ პირველი მეოთხედის დამთავრებამდე იგებდნენ 22 ქულას. მეორეში მაიკლ ჯორდანმა ზედიზედ 15 ქულა გააკეთა. სტუმრები მე-5 წუთზე დაწინაურდნენ ორნიშნა სხვაობით და მატჩის ბოლომდე ამგვარად იყვნენ წინ, თანაც ისე ირჯებოდნენ, როგორც ნაღდ ჩემპიონებს შეშვენის.

„უეჭველად, ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო ამ წელს, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში" — თქვა „ბულზის" ფორვარდმა სკოტი პიპენმა. მისმა მწვრნელმა ფილ ჯექსონმა კვერი დაუკრა: „ჩემმა გუნდმა კარგი სპექტაკლი დადგა, რომელშიც მთავარზე მთავარი როლი მაიკლ ჯორდანმა ითამაშა".

თავად ჯორდანი, მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე მერამდენედ ლომის წილს იდებს „ჩიკაგოს" გამარჯვებაში, მატჩის შემდეგ არ გაფხორილა და უფრო თანაგუნდელების ღირსებაზე ილაპარაკა, ვიდრე საკუთარზე: „პირველ ტაიმში ჩვენ მაყურებელს მატჩზე გული ავაყრევინეთ. გვსურდა, სიტუაცია გაგვეკონტროლებინა და მოვახერხეთ კიდეც. საერთოდ, როცა სტუმრად თამაშობთ, უფრო ყურადღებიანები ვხდებით".

მაგრამ მარტო ყურადღებიანები არ ყოფილან ამ დღეს ჩიკაგოელები. „სიეტლის" მწვრთნელის ჯორჯ კარლის აზრით: „პირველად ვნახე, რომ „ხარები" სათამაშოდ მკვლელების გამომეტყველებით გამოვიდნენ".

„ჩიკაგოს" სასტარტო ხუთეულის შეცვლა მოუწია, რონ ჰარპერს მუხლი სტკივა და ამ დღეს შეცვლაზე ერთი წუთი ითამაშა. მისი ადგილი კი უნივერსალურმა ხორვატმა ტონი კუკოჩმა დაიკავა. „სიეტლს" კვლავ აკლდა ნეით მაკმილანი, ვინც ზედიზედ მეორე მატჩი გამოტოვა ზურგის ნერვის ანთების გამო. სტუმრები ეგრევე 7:0 დაწინაურდნენ. ლონგლის კაუჭის, კუკოჩის ტრიალის და ჯორდანის სამქულიანის წყალობით. ორ წუთში ანგარიში 13:2 იყო, ხოლო მე-6 წუთზე კუკოჩის ზედიზედ ხუთი ქულის და პიპენის საჯარიმოს შემდეგ — 19:4. ჩიკაგოური ქარიშხალი ამით არ დამცხრალა: ლონგლიმ ფარს გარედან ზედიზედ ორჯერ ჩააგდო, ჯორდანმა სამქულიანი




**ლუკ ლონგლიმ 19 ქულით ფლეი-ოფის პირადი რეკორდი დაამყარა**

გააკეთა, შემდეგ ბურთი ჩაჭრა და გარღვევაზე გასულ პიპენს ჩაატენინა. შემდეგ უკვე პიპენმა გაუწია თანადგომა როდმანს და „ბულზი" 34:12 დაწინაურდა, შეგახსენებთ რომ ყველაფერი ეს პირველ მეოთხედში ხდება.

მეორე მეოთხედი კი ჯორდანისა იყო. ამ გენიოსმა ბურთები ყველანაირი საკალათბურთო ხერხით ჩაყარა — თანაც, 15 ქულა ზედიზედ გააკეთა. „მაიკლი შეუჩერებელი იყო — თქვა ჯორჯ კარლმა — ჩვენ დღეს ბევრი ჩაქუჩი გვირტყამდა, ჯორდანი კი დიდი ურო იყო".

ცხადია, თამაშს აზრი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ კაცი მაინც დატკბებოდა „ბულზის" თამაშით, რომელმაც ლაღად და ფრენა-ფრენით მიიყვანა მესამე მატჩი გამარჯვებამდე. მისი ამწლევანდელი ფლეი-ოფის სერია სარეკორდოა: 15 მოგება ერთი წაგების წინააღმდეგ. წინა რეკორდი (12 მოგება — 1 წაგება) „ფილადელფიამ" დაამყარა 1983 წელს. ეს მოგება ზედიზედ მეცხრე იყო „ჩიკაგოსთვის". მათ გაიმეორეს 1982 წლის „ლეიკერზის" შედეგი. თუმცაღა ეს რეკორდი არ არის. საუკეთესო მაჩვენებელი ზედიზედ 11 მოგებაა, მაგრამ „ჩიკაგო" წლეულს ამას ნამდვილად ვერ გადააჭარბებს — ჩემპიონობისათვის ერთადერთი მოგებაღა სჭირდება.

„სიეტლის" საქმე კი შავადაა: ნბა-ს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როცა გუნდი სერიას 0:3 აგებდა, მაგრამ საბოლოოდ მოიგო. ჰოდა, არც „სონიქსი" ჰგავს კანონზომიერების დამრღვევს. საქმე მხოლოდ იმაშია, ხად დაიდგამს „ჩიკაგო" ჩემპიონის მეოთხე გვირგვინს: შინ თუ სიეტლში.

# ჩოგბურთი

## ის, რაც მეტოქეებმაც ვერ შეძლო

რევოლუციაა მსოფლიო ჩოგბურთში — რუსმა მოიგო დიდი სლემის ტურნირი. ეს ფაქტი დიდად შეეწევა ქვეყნის პრეზიდენტად დარჩენის მოსურნე ბორის ელცინს, ჩოგბურთის ალალი დამფასებლის იმიჯი რომ აქვს.

რევოლუციონერი ევგენი კაფელნიკოვია. იგი ისე გახდა საფრანგეთის ჩამპიონი, რომ შვიდ მატჩში ერთადერთი ხელი წააგო — პოლანდიელ კრაიჩეკთან (მეოთხედფინალში). თუმც ისიც სათქმელია, რომ ჯეელ ევგენს ძლიერი მეტოქეები არცა პყოლია: კრაიჩეკამდე სამი ესპანელი — ბლანკო, მანტიია და კლავეტი და კიდევ შვედი იოპანსონი, მერე კი არაქათგაცლილი პიტ სამპრასი და მკვდრეთით ალმდგარი მიხაელ შტიხი. თუ უფრო ობიექტური ვიქნებით, უკვე თავად კაფელნიკოვია ისე ძლიერი, რომ სხვები მის გვერდით მოსატანი არც არიან.

პარიზი. „როლან გაროსი"
საფრანგეთის ღია პირველობის ბოლო,
XIV დღე. 9 ივნისი
ვაჟთა ფინალი

**ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 6) — მიხაელ შტიხი (გერმანია, 15) 7:6, 7:5, 7:6**

რუსმა პირველი ხელი ნერვიულად დაიწყო, მაგრამ თაი-ბრეიქი 7-4 მოიგო. მეორე ხელში გერმანელი 5:2 დაწინაურდა, მაგრამ ჟენიამ მერე ზედიზედ ხუთ გეიმში გაიმარჯვა. მესამე ხელში მიხაელმა ისევ გაახერხა ბრეიქი, მაგრამ რუსმაც გადაუხადა სამაგიერო 4:4. საქმე ისევ თაი-ბრეიქზე მიდგა და ისევ 7-4 დამთავრდა — კვლავ კაფელნიკოვის სასარგებლოდ, თუმცკი რუსმა მანამდე სამი საჩემპიონო ქულა ვერ მოიგო.

**ირაკლი ნინუა**



### ევგენი კაფელნიკოვი

დაიბადა 1974 წლის 18 თებერვალს, სოჭში. სიმაღლე 190 სანტიმეტრი. მამა — ალექსანდრე ინსტიტუტში ფრენბურთის წრეს ავარჯიშებს.

ჩოგბურთს 6 წლის ასაკიდან თამაშობს. ბოლო 12 წელია, ანატოლი ლეპეშინი წვრთნის.

უყვარს თევზაობა. ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკის" გულშემატკივარია.

წლევანდელ „როლან გაროსამდე" არსად გასულა დიდი სლემის ტურნირების ფინალში. მოუგია 9 შეჯიბრი და მოუხვეჭია 3,6 მილიონი დოლარი.

მარჯვენა ხელითა სცემს ჩოგანს. უნივერსალია და ერთობ მოძრავიც. გამანადგურებელი ფორჰენდის პატრონია.

[illegible]იან ბევრ შეჯიბრში მონაწილეობს: შარშანწინ 171 მატჩი გამართა, შარშან — 167. სხვა ბობოლათაგან განსხვავებით, ხალისით თამაშობს წყვილსაც. შტიხთან მატჩის წინადღით პარიზში ჩეხ დანიელ ვაჩეკთან ერთად წყვილთა ჩემპიონობა მოიპოვა.

# რაგბი

ივლისში სამ ბუმბერაზს — სამხრეთ აფრიკას, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას პირველი ორწრიანი ჩემპიონატი ელის. ამიტომაა, რომ ივნისს ეს ქვეყნები ნაკრებთა დასაზუსტებლად იყენებენ.

ყველას თავისი მეთოდი აქვს. თუ აფრიკელებს თავიანთი ქარრის თასი გაუჩაღებიათ, ზღვისრეთელები სტუმრიანობის იმედად არიან: ზელანდია სამოასა და შოტლანდიას მასპინძლობს, ავსტრალია კი — უელსსა და კანადას.

დღეს ავსტრალიური ამბები მიმოვიხილოთ, მით უფრო, თუ შარშანდელი მარცხის შემდეგ — „ვოლაბებმა" ხომ მსოფლიოს თასიც დაკარგეს და ბლედისლოუსიც (ამას ზელანდიას ეცილებიან ხოლმე), ამ ქვეყნის რაგბში მნიშვნელოვანი სიახლეებია.

მთავარია ძალთა გადანაწილება. თუ დასაბამიდან დღემდე ავსტრალიური რაგბის ჭაპანს ორი ხარი — ახალი სამხრეთი უელსის „ვარათაზი" (სიდნეი) და ქვინზლენდის „წითლები" (ბრისბენი) სწევდა, წელს, პირველი ზე-12-ისათვის გააძლიერეს მესამე ძალაც — დედაქალაქის ოლქის „ბრომბიზი" (კანბერა). ამ ახალმა გუნდმა ზე-12-ში V ადგილი დაიჭირა, შინ ყველა თამაშიც მოიგო (მათ შორის ქვინზლენდთან, ზელანდიის ოქლენდთან, აფრიკის ნატალთან) და ნაკრების თხუთმეტეულში ყველაზე მეტი მოთამაშეც გაიყვანა.

„ვოლაბების" შესარჩევად გადამწყვეტი გამოდგა წინა უქმეებზე, 1-2 ივნისს გამართული ორი თამაში. შაბათს სიდნეიში შეიბნენ ახალი სამხრეთი უელსი და ქვინზლენდი, კვირას კი კანბერაში ტურნეს მეორე თამაში გამართა სტუმარმა უელსმა.

„ვარათაზი" და „წითლები" ოდითგან მართავენ „დამფუძნებელ შტატთა სერიალს". შარშან ორივე თამაში სიდნეელებმა მოიგეს. წელს ზე-12-ის მატჩი, რომელშიც ქვინზლენდმა შინ 15:13 გაიმარჯვა, სერიალის პირველ თამაშად ჩაითვალა. „ვარათაზს" ტიტული რომ შეენარჩუნებინა, მინიმუმ სამი ქულით უნდა მოეგო. წინ მეტწილად ქვინზლენდი იყო. მეტოქეებმა სამ-სამი ლელო გაიტანეს. გასარევად ითამაშა მსოფლიოს საუკეთესო მელელოვემ, სიდნეელმა დევიდ ქემფიზიმ, ვინაც ორის გატანაში დაიდო წილი, ბოლო წუთზე კი, მისი გუნდი მხოლოდ ერთი ქულით რომ იგებდა, ირკნი ძელს მოახვედრა.



აყლაყუდა ჯონ ილზი „ვოლაბთა" ახალი კაპიტანია

„ვარათაზი" მაინც ეწია საწადელს: მატჩის ბოლო იერიშისას მსაჯმა თამაშგარე ყოფნისთვის დააჯარიმა ქვინზლენდელი ვილსონი და ბერქმაც 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა — ახალმა სამხრეთმა უელსმა 29:25 დაამარცხა ქვინზლენდი.

კანბერაში „ბრომბიზმა" 69:30 (24:23) დაანგრია უელსი. მასპინძლებმა ათი ლელო გაიტანეს, სტუმრებმა — ოთხი. ამდენივე ლელო მარტომ მიითვალა „ბრომბიზის" 20 წლის გარემარბმა ჯო როფმა, ჯერ კიდევ შარშანდელ მსოფლიო თასზე რომ გამოჩნდა.



ქემფიზი

უელსმა მერე, შუა კვირაში, 5 ივნისსაც წააგო — 20:27 (3:14) (2ლ-2ლ), ამჯერად „ვარათაზთან", ვისაც ნაკრების წევრები აკლდა. ამასობაში „ვოლაბთა" ახალ მწვრთნელს, სიდნეელ გრეგ სმითს, ნაკრები ჯერჯერობით მხოლოდ ერთი წლით რომ ჩააბარეს, ასეთი გუნდი შეედგინა უელსთან სათამაშოდ:

ბერქი (ახ. სამხრ. უელსი (ასუ)); ქემფიზი (ასუ), როფი (კანბერა), პორანი (ქვინზლენდი), მერდოქი (ასუ); პოვარდი (კ), გრეგანი (კ); პარი (ასუ), კაპუტო (კ), მაკქენზი (კ); ილზი (ქვ), მორგანი (ქვ); ვილსონი (ქვ), ფინეგანი (კ), მანუ (ასუ). სათადარიგონი: ლარქემი (კ, 15), ბოუენი (ასუ, 10), [illegible]ეინი (ასუ, 9); ქრაული (ქვ, ბურჯი), ფოლი (ქვ, კვაჭი), ბრაიალი (ასუ, ფრთა)

კაპიტნობა ორმეტრიან ილზს დააკისრეს. ძველი კაპიტანი — სიდნეელი კვაჭი ფილ ქერნსი დაშავებულია. ზე-12-ში დაშავდნენ ქვინზლენდელი მცველები სმითი (14) და ლითლი (13), „ვარათაზთან" თამაშში — ორი ლელოს გამტანი თიუნი (11). ამის შემდეგ როფი შუამარბად აიყვანეს ნაკრებში, ქემფიზის კი 93-ე კეპი უბოძეს. სიდნეელი ვეტერანი თიმ გევინი (8) დაინუნეს, ტონგელი დანიელ მანუ ფრთიდან ამის ადგილას გადაიყვანეს, ასევე ტონგელმა „ვილი ო"-მ (ოფენგაუემ) კი ტრავმების მორჩენის შემდეგ ახლალა დაიწყო თამაში. სულ, შარშან ზელანდიისგან ძლეული გუნდიდან „ვოლაბებმა" ექვსი მოთამაშელა შეინარჩუნეს.

### ავსტრალია 56-25 უელსი

პირველი ტესტი. 8. VI. ბრისბენი. ბალიმორი. 19 800 მაყურებელი. მსაჯი ვოლსტრომი (ახალი ზელანდია)

ავსტრალია — 7ლ: როფი, კაპუტო, ვილსონი, მანუ, პოვარდი, მერდოქი, მორგანი; 6გ და 3ს: ბერქი

უელსი — 3ლ: 15 პროქტორი, 8 პ. თეილორი, 4 პლუელინი; 2გ და 2ს: 10 ნ. ჯენქინსი

მართალია, როფმა 54-ე წამზე გახსნა ანგარიში, მაგრამ „ვოლაბები" ისე არეულად თამაშობდნენ, რომ ქვინზლენდელი მაყურებლის სტვენა დაიმსახურეს. თამაში 49-ე წუთზელა გახურდა, როცა ბერქმა დაიჭირა ჯენქინსის აბრაგანი, ფრთაზე გაქუსლა, ბებერ უელსელ გარემარბ ევანსს ბურთი ფეხით თავზე გადაუგდო, მერე ისევ თავად დაეუფლა ბურთს, ბოლოს კი სამი მეტოქის მომსხეპავი გრძელი პასით მანუს ლელო გაატანინა.

მეორე ტესტი სიდნეიში გაიმართება 22 ივნისს, მანამდე კი უელსი კიდევ სამ პროვინციულ თამაშს გამართავს.

**ზაზა კირკიტაძე**

მხოლო ტესტი. 7. VI. ნეიპირი. ახალი ზელანდია 51 (27) — სამოა 10 (10). „ოლ ბლექსის" ახალმა 15 ნომერმა და წლევანდელი პონკონგის შვიდკაცას გმირმა ქრისთიან ქალენმა სამი ლელო გაიტანა.


**იყიდება**
თეთრი, გამჭვირვალე
ორგანული მინა
125 სმ X 74 სმ
75 სმ X 75 სმ
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)


ზელანდიელი

### ლეიტენანტ შმიდტის შვილები

მთელს მსოფლიოში მიმოფანტული ზელანდიელები ბოლო ხანს თურმე ხშირად აკითხავენ გოიმი ქვეყნების რაგბის კავშირებსა და კლუბებს და თავს რაგბის მწვრთნელებად ასაღებენ. ამ ტენდენციას ერთობ შეუწუხებია ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი, რომელსაც ყველა ქვეყანაში დაუგზავნია ფაქსები, აქაოდა ვინმე ჩვენებური თუ გამოგეცხადოთ, ნუ დაიზარებთ და ჯერ ჩვენ შეგვეხმიანეთ, აქედან მიღებული პასუხის შემდეგ კი უკეთ გეცოდინებათ, თქვენი სტუმარი რა რანგის სპეციალისტია და საერთოდაც მწვრთნელია თუ არაო.



### ერთი მეყოფინა

კვირას დასრულებულ იტალიის ველოტურ „ჯიროში" რუსმა პაველ ტონკოვმა 22-დან ერთადერთი ეტაპი მოიგო, მაგრამ დასკვნითი ათი ეტაპიდან ცხრაზე ლიდერი იყო და ბოლომდეც — მილანამდეც შეინარჩუნა მოწინავის ვარდისფერი კვართი.

27 წლის რუსმა 2 წუთითა და 43 წამით აჯობა იტალიელ ერნესტო ძაინას. მესამე მსოფლიოს ჩემპიონი, ესპანელი აბრაამ ოლანო (2.57) იყო.

კვირასვე, გრენობლში, „დოფინ-ლიბერე" შარშანდელივით მოიგო „ტურ-დე-ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებულმა, ესპანელმა მიგელ ინდურაინმა. ფრანგი ლორან ჟალაბერი დაეცა და შეჯიბრს გამოეთიშა.

**მიხო ნინუა**

### დუენ - „ჰონდას" ტრიუმფი

მონაკოელმა ავსტრალიელმა მიკი დუენმა მოიგო მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობის (500 კუბური სანტიმეტრის კლასი) VI ეტაპიც — საფრანგეთის დიდი პრიზი, კვირას რომ გათამაშდა ლეკასტელეში, პოლ რიკარის სახელობის ტრასაზე. ახლა დუენს 121 ქულა აქვს და ბევრით უსწრებს იტალიელ ლუკა კადალორას (81) და ესპანელ ალექს კრივეს (73).

შაბათს, კვალიფიკაციისას, მოტოციკლიდან გადავარდა და მკერდი და მაჯა დაიშავა დუენის თანამემამულემა და კარის მეზობელმა დარილ ბითიმ. კვირის სტარტისთვის წინა რიგში დადგომის უფლება მოიპოვეს კრივიემ, დუენმა, იტალიელმა დორიანო რომბონიმ და ესპანელმა ალბერტო პუჩმა, შარშან იქვე საზარლად რომ დაიმტვრა.

დუენმა კრივეს მე-15 წრის პირველ მოსახვევში გაუსწრო და ბოლომდე არ დაუთმია ლიდერობა. დაეცნენ იტალიელი ლორის კაპიროსი, ბრაზილიელი ალეშანდრუ ბარუში და ფრანგი ჟან-მიშელ ბეილი. დუენის მდევარ კრივეს მაინც ვერავინ დაეწია, მესამე ადგილისათვის გამართულ ფიცხელ ბრძოლაში კი პუჩმა აჯობა იაპონელ ნორაფუმი აბესა და ამერიკელ სქოთ რასელს.

კვარცხლბეკი „ჰონდამ" დაიპყრო: დუენი, კრივიე და პუჩი მისი მანქანებით ასპარეზობენ.

**ნათელა ხვადაგიანი**

### ინგლისელი ჰუსეინი

კვირას, ეჯბასთონში (ბირმინგემი) ვადამდე — ხუთის ნაცვლად მეოთხე დღეს, სადილობამდე, დამთავრდა ინგლისი — ინდოეთის პირველი კრიკეტის ტესტი. მასპინძლებმა იოლად — 8 ბჭით გაიმარჯვეს. ინდოეთი 214 და 219 — ინგლისი 313 და 121 (2). მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მადრასში დაბადებული ინგლისელი (?!) ნასარ ჰუსეინი სცნეს. მეორე ტესტი ლონდონში, „ლორდსზე" იქეთა ხუთშაბათს, 20 ივნისს დაიწყება. ქართველ სპორტის მოყვარულებს თამაშის პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა Ayety TV-ის ESPN-ით შეუძლიათ დღის სამი საათიდან.

**თენგიზ არტამონოვი**

## ციხის ნაცვლად — მაკკინლიზე

ჩვეულებრივი მოკვდავი რომ არჩევანის წინაშე დააყენო, ან ციხის გზას უნდა გაუყვე, ან მაკკინლისასო, ალბათ პირველს აირჩევს. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი ამჯობინებს მაკკინლისთან ჭიდილს? ჩრდილოეთ ამერიკის ამ უმაღლეს მწვერვალზე (6137 მ), ალიასკაზე რომ მდებარეობს, 1989 წლიდან, ე. ი. იმ დროიდან, რაც მასზე მასობრივად მიაქვთ მთამსვლელებს იერიშები, 54 ალპინისტი დაღუპულა. ახლა ამას მიათვალეთ მანამდე იქ დაღუპული მთამსვლელები... პოდა, ნათელი გახდება, რომ მაკკინლის ფერდობებზე გაყინვასა და გადაჩეხვას ციხეში მშვიდად ჯდომა სჯობს. ბოლოსდაბოლოს, იქიდან ცოცხალი მაინც გამოხვალ.





ბიძინა გუჯაბიძის ფოტოები



ბენო ქაშაკაშვილი და ბიძინა გუჯაბიძე

ლევ სარქისოვი (მარცხნივ)

ალბათ იფიქრებთ, ეს ციხე რაღამ გაგახსენათო. საქმე ის არის, რომ საქართველოს სამკაციანი ექსპედიციის წევრებს: ბიძინა გუჯაბიძეს, ბენო ქაშაკაშვილსა და ლევ სარქისოვს აშშ-ს პოლიცია დაემუქრა, თუ თქვენსას არ დაიშლით და მაკკინლისკენ წახვალთ, უთუოდ დაგაპატიმრებთო. ჩვენებს მგონი გახარებიათ კიდეც, ერთდროულად ორ კურდღელს დავიჭერთ, მწვერვალზე მაინც ავალთ, და თუ ჩაგვაყუდეს, ციხეში ინგლისურსაც ვისწავლითო. ყოველ შემთხვევაში პოლიციელებისთვის ასე უთქვამთ ხუმრობით. თუმცა, მუქარის მიუხედავად მწვერვალზე ასვლა მაინც განუზრახავთ.

— საქმე ის იყო, რომ წლევანდელი წლის დასაწყისიდან ამერიკაში შემოუღიათ მაკკინლიზე ამსვლელებმა 60 დღით ადრე უნდა შეგვატყობინოთ თქვენი განზრახვა და პერმიტს ანუ ნებართვას ამის მერე მოგცემთო, — გვიამბობს ბიძინა გუჯაბიძე. — მაგრამ ეს ჩვენ მაშინ შევიტყვეთ, როცა ამერიკას მივუახლოვდით. იქ ჩემი მეგობარი მთამსვლელები ალექს ლოუ, კონრად ანკერი და სხვებიც დავატრიალეთ. უმალ სარეკომენდაციო წერილები ფაქსებით გამოგვიგზავნეს, ესენი უბრალო მთამსვლელები არ გეგონოთ, მაგრები არიანო. ჩვენი მეგობარი ამერიკელი მთამსვლელები თავიანთ ქვეყანაში ძალიან პოპულარული ალპინისტები არიან. მათი ფოტოები ბევრ მაღაზიაში ენახეთ გამოკრული. იმათ რეკომენდაციებსაც დიდი წონა აქვთ, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა — კანონი კანონიაო. ამ კანონის ძალით იაპონელი და კორეელი მთამსვლელები უკან გააბრუნეს, მაგრამ სულ ბოლო მომენტში აღმოჩნდა, რომ ალიასკის ეროვნული პარკის დირექტორი ჩვენი მეგობარი მთამსვლელის ნათესავი ყოფილა და საქმეც გაიჩარხა. საბაზო ბანაკში პატარა, სამ-ოთხ კაციანი თვითმფრინავით გადავფრინდით. იქ უმალ მოგვცეს ბენზინი, პლასტმასის ციგები თუ მარხილები ბარგის საზიდრად... ჩვენი ბარგი კაცზე 50-50 კილოგრამი იყო. ჩასვლისთანავე ეს ციგები დავტვირთეთ, გზას გავუდექით და მწვერვალზე მე-5 დღეს, 5 მაისს ავედით.

**— რომელი მარშრუტით?**

— ჩვენ დასავლეთის ქედიდან ეგრეთ წოდებული კასინის მარშრუტით გვინდოდა ასვლა. ეს ის მარშრუტია, სადაც სახელგანთქმული იაპონელი მთამსვლელი და მოგზაური ნაომი უემურა უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაგრამ რაკი ჩვენ კანონის დარღვევით მოგვცეს პერმიტი, გვითხრეს, ჯანდაბას თქვენი თავი, ასვლის ნებას იმ პირობით გაძლევთ, თუ კლასიკური მარშრუტით ეცდებით მწვერვალის დალაშქვრასო. ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა, დავთანხმდით.

**— კიდევ რამდენი ქვეყნის მთამსვლელები ცდილობდნენ ასვლას?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მრავალი ქვეყნის ბევრი მთამსვლელი იქ დაგვხვდა, რაკილა სეზონი თითქმის სამი კვირის დაწყებული იყო. ისინი სეზონის დასაწყისშივე ჩასულან საააკლიმატიზაციოდ. ჩვენი ჩასვლისას მათი ნაწილი ზემოთ, მწვერვალის ფერდობებზე სხვადასხვა სიმაღლეზე იყო, ნაწილიც — ქვემოთ, და ასასვლელად ემზადებოდა.

**— რაკი ჩასვლისთანავე დაიწყეთ იერიში, ალბათ პიმალაური სტილით ახვიდოდით.**

— ასეც ვაპირებდით, მაგრამ საბაზოში ჩავედით თუ არა, დავრწმუნდით, რომ ალპურ სტილში უნდა ავსულიყავით. ამერიკელ მთამსვლელთა რეკომენდაციების, ჩვენი ჯიუტობის, ამდენი აურზაურის მერე სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ეს ყველაფერი უნდა გვემართლებინა და თავი რაღაცით გამოგვეჩინა. ამიტომ ალპური სტილით ავედით. საპიმალაურსტილოდ განკუთვნილი მთელი ბარგი ღამისთევის მერე პირველ ბანაკში, 2 400 მეტრზე დავტოვეთ და მეორეში 3 400 მეტრზე ავედით, კიდევ ერთი ღამისთევის მერე — მესამეში, 4 200 მეტრზე. აქ 30-მდე კაცი დაგვხვდა. მათ სამი კვირის განმავლობაში მიპქონდათ იერიში მწვერვალზე. ამიტომ ჩვენს დანახვაზე ძალიან შეშფოთდნენ, ამ სეზონში ესენი არ გახდნენ პირველამსვლელებიო. მეოთხე, უკვე საიერიშო ბანაკში, 5 200 მეტრზე რომ ავედით, 5 000 მეტრამდე 8 კაცი გამოგვყვა. ახალზელანდიელები, ფრანგები, ინგლისელები და გერმანელები იყვნენ. თითოეული ქვეყნიდან თითო ჩაბმა გამოგვყვა. ალარც მეოთხე ბანაკში და ალარც ზემოთ ჩვენს მეტი ალარავინ იყო. ის ღამისთევა მეტად მძიმე გამოდგა. კარავში 10 გრადუსი ყინვა იყო, გარეთ — 30-40. კარავი შიგნიდანაც გაიყინა. კარავში საძილე ტომრებზეც კი დაგვათოვა. მწვერვალისკენ დილაადრიან, ოთხ საათზე გავუდექით. რაც გვქონდა, ყველაფერი ჩავიცვით. ასე თბილად არასოდეს ჩაგვიცვია. ამიტომ გაჭირვებით ვმოძრაობდით. მწვერვალამდე სიმაღლეში 1 000 მეტრი რომ რჩებოდა, დავინახეთ ორი ჩაბმა ძალზე სწრაფად გვიახლოვდებოდა. უნაგირაზე რომ ავედით და დასანაყრებლად თოვლში ჩავჯექით, ვხედავთ, ერთი ჩახსნილა და დაგვეწია. ახალზელანდიელი იყო. გამარჯვებული კაცის იერით გადმოგვხედა და გზა გააგრძელა. ეტყობა დანარჩენებმა იფიქრეს, ამ ვილაც ქართველებმა ასვლა არ დაგვასწრონო და, ვისაც ძალა მეტად ერჩოდა, ის დაგვადევნეს. ახლა ჩვენ წაგვიხდა ნირი და ლოვა სარქისოვი მეუბნება, ჩაიხსენი თოკი და დაედევნე. იცოდე, თუ პირველი არ იქნები მწვერვალზე, ცოცხალი ვერ გადამირჩებიო. მეც გავარდი. ასეთი რბოლების გამოცდილება მაქვს. მყინვარწვერზე ყაზბეგიდან ყაზბეგში გზას 12 საათი მოვუნდი. ხანთენგრიზე (7 010 მ) მოწყობილ საერთაშორისო რბოლაში 16 საათი დამჭირდა და VI ადგილი დავიკავე. მაშინ ჩემმა მეგობარმა ალექს ლოუმ გაიმარჯვა (12 საათი). ასე იყო თუ ისე, ახალზელანდიელს რომ დავედევნე, ვცდილობდი ქედზე მოფარებას, რომ თვალი არ მოეკრა ჩემთვის. როცა დამინახა, გვიანლა იყო. ამ დროს ახლა ის შეექცეოდა რაღაცას. ერთმანეთს მივესალმეთ და გზა დამითმო. ვიფიქრე, ეს ჩემი დამწევი ალარ არის-მეთქი და გულდამშვიდებით გავუყევი გზას, მაგრამ ვხედავ წამომხტარა და ძალიან სწრაფად მოიწევს, ისე სწრაფად, რომ დავეჭვდი, რაღაც დოპინგი გადაყლაპა-მეთქი. მაგრამ ასეთ ტემპს ველარ გაუძლო და მწვერვალზე 40 წუთით ავასწარი. 5 მაისი იყო. 12 საათი და 30 წუთი. ისიც რომ ამოვიდა, ერთმანეთს სურათები გადავუღეთ და ერთადვე დავეშვით. დაახლოებით 5 600 მეტრზე ბენო და ლოვა შემომხვდნენ. ისევ მწვერვალისკენ მივბრუნდი და ახლა მათთან ერთად ავედი მაკკინლიზე. მანამ ჩვენ იქიდან გამოვფრინდებოდით, მწვერვალზე კიდევ ფრანგთა ერთი ჩაბმა ავიდა.

**— მეორე ასვლისას შემოღამება არ გაფიქრებდათ?**

— იქ პოლარული ღამეები იყო და სულ სამი საათით ბნელდებოდა.

**— ამ მწვერვალს კავკასიონის რომელ პიკს შეადარებდით?**

— ანალოგს ვერ ვპოულობ. ისე კი მარშრუტის სირთულე საშუალო — მესამე-მეოთხე კატეგორიისა იყო.

ასე გასრულდა საქართველოს მთამსვლელთა დამოუკიდებელი პირველი ექსპედიცია მაკკინლიზე, ჩვენი ქვეყნიდან ამ მწვერვალზე პირველამსვლელი კი არის თბილისელი გია თორთლაძე, რომელმაც ეკატერინბურგელ ალპინისტებთან ერთად მიზანს 1994 წლის 22 მაისს მიაღწია — მანაც კლასიკური მარშრუტით.

**ავთანდილ გურასაშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29